საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/114

ქ. ბათუმი 17 მაისი, 2022 წ.

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N481 დადგენილებით შეტანილი ცვლილების), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის MES 0 21 0001011252 ბრძანების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/86 დადგენილების, „ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/86 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ოქტომბრის №06-01/114 და **2022 წლის 28 მარტის N06-01/27 დადგენილებით),** „2021 სასწავლო წლიდან ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ნოემბრის 01-02/146 ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის", საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 16 მაისის MES 9 22 0000491763 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების N1 დანართს **(2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი) დაემატოს მე-9 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,9. **ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო** პროგრამაზე 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში **ე.წ. მე-9 ნაკადზე ჩარიცხული იმ სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვა** (ბსუ-ში გამოცხადება, მატერიალური სახით ხელშეკრულებების გაფორმება, აკადემიური რეგისტრაცია), **რომლებსაც შეექმნათ დაბრკოლება** სავიზო პროცედურებთან და ბილეთის ჯავშანთან დაკავშირებით, **განხორციელდეს არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა.".**

2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილეებმა.
4. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადოს კოდიფიცირებული 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი (N1 დანართი), რომელიც თარგმნილი იქნეს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,სწავლა"-,,აკადემიური კალენდარი" და ინგლისურენოვან ველში ,,სტუდენტის გზამკვლევში' ახალი ჩანართის - ,,აკადემიური კალენდარი" დამატებისათვის).
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**